# სახალხო გაზეთი

№ 1119 — ოთხშაბათი, 19 თებერვალი 1914 წ. — № 1119

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი იქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ.

## სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1914 წელსაც გაზეთს ექნება

### სურათებიანი დამატება
(კვირაობით).

პრემიად 1914 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ სამი წიგნი

პირველი წიგნი: „ქართველი მწერლები“, რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „უგვირგვინო მეფენი“, ისტორ. დრამა 5-მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „მიმქრალი შარავანდედი“, ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.

მეორე წიგნი: „უცხოეთის მწერლები“, რომელშიაც დაიბეჭდება: „დონ-კარლოსი“, ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულით სანდრო შანშიაშვილისა და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

მესამე წიგნი: „სამეცნიერო კრებული“, ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50 | 8. | 7. 50 | 6. 75 | 6 | 5. 25 | 4. 50 | 3. 75 | 3 | 2. 25 | 1. 50 | 75. |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოცვლის ფასი ტფილისისა ტფილისის გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე 40 კ.

დანარჩენ შემთხვევებში უფასოა.

სამი აბაზი უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც ჰსურს მიიღოს ფოსტით სამი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება: 1) „სახალხო გაზეთის“ კანტორაში, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან.

2) ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.

გულდამწვარი მეუღლე მარ ამ ივანეს ასული გიორგობიანისა, შვილები: პანტელეიმონ, კონსტანტინე და ეკატერინე გიორგობიანები, რძლები: ნინო და ეფემია გიორგობიანები, სიძე სვიმონ გაიოზის ძე ჩიხლაძე და მეუღლე მისი: ლიზა სვიმონის ასული ჩიხლაძისა გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთა და ნაცნობთ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროვოდ გარდაცვალებას

### სვიმონ დავითის ძე გიორგობიანისას.

გამოსვენება მოხდება 20 თებერვალს, დილის 9 საათზე, საკუთარ სახლიდან, ანტონოვის ქუჩა № 53. დასაფლავება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე, პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. 11

დღეიდან

### ვაგზლის სამკურნალოში

(მტკვრის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

სამხედრო ექ. ქლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 1—2 ს.

გაზაძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

რჩევის საფასური—50 კაპ.

წამლობა „914“. 1023

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

### მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

ახალი კლუბი

მამასახლისთა საბჭო აუწყებს კლუბის წევრთ, რომ

### წევრთა წლიური საზოგადო კრება

დანიშნულია კლუბის სადგომში შაბათს, 22 თებერვალს, საღამოს 8 საათზე. ეს კრება როგორც მეორედ დანიშნული კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს; განსახილველია შემდეგი საქმეები: 1) ანგარიში 1913 წლისა; 2) ხარჯთ-აღრიცხვა 1914 წლისთვის; 3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა; 4) მიმდინარე საქმეები; 5) არჩევანი მამასახლისებისა და მათ კანდიდატთა; 6) არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრებისა და მათ კანდიდატებისა და 7) არჩევანი წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა. 1052.

ახალი წიგნი

სილოვ. ხუნდაძის მიერ შედგენილი

ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო

პირველი წიგნაკი:

ნ. ბარათაშვილი, ფასი სამი შაური. 97

გორის პირველი კერძო

### სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი მ. ბ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

მინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან. ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით. სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა წამლობა „606“, „914“. 1604

### ტფილისის კერძო სამკურნალო

წყნეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 60 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახებით განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებ. | მანსვეტაშვილი მ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მალალაშვილი მ. მ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1 ს.<br>ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარკოვიჩი მ. ლ. კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ფირალოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი მერბიცკი-ფირალოვისა ლ. ყოველ დღე 11—1.<br>თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულბ. | მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1.<br>ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექტ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>ზონდოვი გ ა. ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი მ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და შილების კატეტერიზაცია. „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. 1536

ქ. გორში

ექიმი (დოკტორანტი) მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ. 1571

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12, აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 737.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე.

გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.

იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის

### სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608

### საბურთალოზე

მშვენიერ ადგილას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყო 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკვეთებად ხელმისაწვდომ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სტაროსტ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შეიძინონ დარჩენილი ნაკვეთები, ჩვენგან მიიღებენ კვიტანციას. 122

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.: ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი პავლე არდაზიანი

შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დღის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. სადამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

### გ. გ. მეგრაბიანცი

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვ. სებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. ღარიბების წამლობა დილ. 9—10 ს.-დე უფასოდ. ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92. 1516

ექიმი მ. მუსხელიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი შ. ა. მიქელაძე

15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი ბ. ნ. მაგაკიანი

გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობანი. ელექტროთერაპია იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053


## ტფილისი, 19 თებერვალი

დღევანდელ დღეს 19 თებერვალი ტრადიციულად მოიგონებენ გლეხთა განთავისუფლების ამბავს. 19 თებერვალი, დღე გლეხთა განთავისუფლებისა და ბატონ-ყმობის მოსპობისა, მართლაც, ღირსშესანიშნავი და ისტორიული დღეა. რაც უნდა ბევრი ნაკლი დაჰყოლოდა ამ შესანიშნავ რეფორმას, იგი მაინც მოსაგონარი იქნება ყველასთვის, ვისთვისაც დაუსრულებელი პროგრესიული განვითარება კაცობრიობისა და განხორციელება სოციალური სამართლიანობისა სანუკვარ საგნად გადაქცეულა. ბევრგან და სხვათა შორის ოფიციალურად ჩვენშიაც 19 თებერვალს მხოლოდ ისტორიულ დღეთა სთვლიან. განათლებული ევროპიელი უეჭველია გაოცებული დარჩებოდა, რომ გაიგო, რომ ჩვენში გლეხთა განთავისუფლების დიდის ხნის შემდეგ, კვლავ სწარმოებს ლიკვიდაცია ბატონ-ყმური ურთიერთობის ნაშთებისა. ჩვენში მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ მოისაზრეს, რომ საჭიროა მოსპობა დროებით ვალდებულობისა. მხოლოდ ეხლა დაიწყო მოწესრიგება ხიზანთა მდგომარეობისა. საწარმოო ძალა მცხოვრებთა, დიდი ნაწილისა დღემდის კვლავ დატყვევებული იყო და განიცდიდა იმ უღელს, რომლის მოშორება საჭიროდ დაინახა ამ ნახევარი საუკუნის წინ თვით მთავრობამაც კი. ამ რიგად 19 თებერვალი ჩვენთვის ისტორიულად მოსაგონარი დღე კი არ არის, არამედ ისეთი, რომელსაც დღესაც აქვს თავისი ძალა. ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ბევრი რამ გამოიცვალა. ცხოვრებამ სრულიად სხვანაირი სახე მიიღო. განვითარდა ვაჭრობა-მრეწველობა, დაინგრა ფეოდალიზმი, სოფელში ახალი სოციალური ჯგუფები გაჩნდა, მაგრამ ნაშთი ბატონ-ყმური ურთიერთობისა მაინც გაჩხირული იყო ჩვენს ცხოვრებაში და ამ საერთოდ შეცვლილ პოლიტიკურ ცხოვრების ფონზე შავი წერტილივით გამოიყურებოდა.

ცხოვრებასთან ერთად ხალხიც გამოიცვალა. სხვა და სხვანაირი ინტერესები გადაიხლართა ერთმანეთში და როდესაც გაისმა ხმა, საჭიროა ლიკვიდაცია ამ ნაშთებისა, გამოჩნდნენ ისეთები, რომლებმაც მოისურვეს სასწორის გადახრა იქითკენ, სადაც მემამულეთა ინტერესები ელაგა. მაგრამ 19 თებერვალი თავისთავად არ დაბადებულა. იგი ნაყოფია ცხოვრების ულმობელი კანონებისა. 19 თებერვალმა მოსპო ბატონ-ყმური ურთიერთობა და, თუმცა გვიან, მაგრამ ლოღიკურის აუცილებლობით უსათუოდ უნდა მოისპოს ყველა ის ინსტიტუტი, რომელსაც რაიმე კავშირი აქვს ბატონ-ყმობასთან, მახლობელი, თუ შორეული. საკვირველი ის კი არ არის, ბატონ-ყმური ნაშთები ეხლა რომ ისპობა; საკვირველი ის არის, აქამდე რატომ არ მოისპო.

გამოიცვალა დრო, გამოიცვალა ხალხი, მაგრამ პრობლემა გლეხთა განთავისუფლებისა ჯერ ისევ გადაუწყვეტელი დარჩა ნაწილად მაინც. ამიტომ დღევანდელ დღეს ჩვენ მოვიგონებთ არა როგორც შორეულ ისტორიულ დღეს, არამედ როგორც ისეთს, რომელიც ჯერ ისევ გვიჩვენებს თავის ძალას. 19 თებერვალი ისტორიულ დღედ მხოლოდ მაშინ იქცევა, როდესაც აღარ დარჩება აღარც ერთი ნაშთი ბატონ-ყმურ სამარცხვინო და ერის განვითარების შემფერხებელი ურთიერთობისა.

## ქართული პრესა

გაზეთ „სიმართლის ხმაში“ გ. ქუმბურიძე ახასიათებს სახელმწიფო საგლეხო ბანკის მოღვაწეობას ჩვენში და ამბობს, რომ ამ ბანკის დაარსებით მთავრობას უნდოდა მოუსვენარი, უკმაყოფილო ელემენტები ჩამოეშორებია რუსის მემამულეებისთვის და თან საქართველოს ტერიტორიაზე რუსის გლეხების დასახლებით ქიშპობის და შუღლის ჩამოგდება რუს და ქართველ გლეხთა შორის. ავტორი სწერს:

„მთავრობამ მიზანს მიაღწია, გასაყიდი მამულები ხელთ იგდო. საგლეხო ბანკმა ყველაზე უფრო კახეთში მოიკიდა ფეხი. ჯერ მარტო ალაზნის ველზე რაიონში 650,000 დესეტინამდე მიწა შეიძინა. ჯერ ჯერობით 1000 კომლამდე რუსე-

ბია ჩამოსახლებული. იყო ისეთი მაგალითიც, რომ ქართველი გლეხკაცობა აჰყარეს და მათ ადგილას რუსები დაასახლეს: ქართველ და რუს გლეხთა შორის ცუდი განწყობილებაა, უკმაყოფილება დღითი-დღე იზრდება.

საგლეხო ბანკის საშუალებით ქართველმა გლეხ-კაცობამაც შეიძინა მიწები, მაგრამ მათი მდგომარეობა აუტანელია. არც ერთი თავის მოვალეობა ბანკმა არ შეასრულა, მაგალითად საგლეხო ბანკი ვალდებულია თავის ხარჯით დამიჯნოს მიწები, თვითეულ კომლს თავისი ნაწილი მიუზომოს, რომ გლეხს საშუალება მიეცეს აიშენოს სახლ-კარი, გააშენოს ბაღი და მეურნეობას შეუდგეს. გლეხ-კაცის ერთად-ერთი შემოსავლის წყარო ხომ მეურნეობაა და თუ გლეხი მეურნეობას სასურველ ნიადაგზე ვერ დააყენებს, განადგურება მოელის და იძულებული ხდება სოფელს განშორდეს.

საგლეხო ბანკი ამას ყურადღებას არ აქცევს. აგერ 8 წელიწადია ლელიანის საზოგადოება გაშენდა. 1000 კომლამდე იმერელი და ოსი დაესახლა, მაგრამ არც ერთ კომლისათვის მიწა არ მიუზომიათ. საგლეხო ბანკი კი თავისას მოითხოვს და საკმარისია ერთი დღე გადასცდეს ვადას, რომ ჯარიმებით ტყავი გააძრონ გლეხკაცობას. გლეხ-კაცობამ მოთმინება დაჰკარგა, თხოვნას თხოვნაზე ჰგზავნის, დეპუტაციას დეპუტაციაზე, რომ მიწები გაანაწილოს ბანკმა, მაგრამ მეურნეობა ეცემა, ტყეები გავერანდა. ყოველ წელიწადს, უსახლკარობის გამო, ათასნაირი გადამდები ავადმყოფობა მუსრს ავლებს ხალხს.

გულ მოკლული, სევდით გადაჰყურებს გლეხი გავერანებულ მიდამოს და ყოველ გვარი შრომის ხალისი, ენერგია ეკარგება".

რასაკვირველია, საგლეხო ბანკის მართველობა ყოველსავე ამას ყურადღებას არ მიაქცევს და თუ გლეხებმა დროზე გადასახადები არ შეიტანეს, სახლკარს გაუყიდის და ადგილებსაც ჩამოართმევს.

ბ. ქუმბურიძე თავის საინტერესო შენიშვნებს ასეთის მოულოდნელის ცილისწამებით ათავებს: ფედერალისტებს უხაროდათ სახელმწიფო საგლეხო ბანკის დაარსება და ხელს უწყობდნენ მის მუშაობას. ბ. ქუმბურიძე ბრძანებს: ჩვენში რომ ეს ბანკი დაარსდა, ჩვენს მემამულეებს თავს ლასტრიალებდა მიწებს ჩამოართმევს ახირდილიო. ამიტომ

„მემამულეებისათვის საჭირო იყო ნაღდი მყიდველი, ნაღდზე ყიდვა კი ერთად ერთს საგლეხო ბანკს შეეძლო. ეს კარგად იცოდენ ფედერალისტებმაც, არც მათთვის იყო, რასაკვირველია, სასიამოვნო მათ ზურგ მემამულეებს მიწა უფასოდ დაჰკარგოდათ და აი სწორედ ამ მოსაზრებით სდუმდნენ ფედერალისტები პრესაში. მაგრამ პრესაში სიჩუმე სრულებითაც არ უშლიდათ ხელს მოქმედებაში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ; მართლაც ბევრი მათგანი მაჭანკლის როლსაც კი ასრულებს საგლეხო ბანკის წინაშე".

ასე სწერენ ბ-ნნი დასელები ისტორიას! მაგრამ სწერენ თავის ცილისმწამებლობის, სუცრუის, სიყალბის ისტორიას და არა იმასა, რასაც იცავდნენ და იცავენ, ემსახურებიან მათი მოწინაამდეგენი! ასე სწერენ დიდიხანია, მაგრამ ვაი რომ საცოდავებმა აქამდის ვერა გაარიგეს რა ამგვარის „ისტორიებით"!

* *
*

**„სიმართლის ხმა"-ს** ყველაფერი თავისებურად ესმის. ეს თავისებურება ფრიად ორიგინალურია, მაგრამ არა ისეთი, რომ სახელი მოუპოვოს მის ჭკუა-გონებას მახვილობას. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სკოლა ჰსურს გახსნას, ეს სრულიად საკმარისი გაჰხდა იმისთვის, რომ „სიმართლის ხმა"-ს მოეთხოვა დაარსება.... ბიბლიოთეკისა. დოლი და ჯიბრია, მაშ რა ჯანდაბა! აბა, ყური დაუგდეთ:

„სკოლებს მთავრობაც აარსებს, — ბრძანებს „სიმართლის ხმა;—მართალია ის ანტიპედაგოგიურია და საგნების სწავლა რუსულ ენაზე სწარმოებს, მაგრამ აკი ასეთია ჩვენი ქართული სკოლებიც იმ გარჩევით, რომ ქართული ენა უკეთ დაყენებულია და სამშობლოს შესწავლასაც ადგილს უთმობენ!.

ამ მოსაზრების ძალით „სიმართლის ხმა"-ს შესაძლებლად მიაჩნია პატეთიურად განაცხადოს:

„დროა „ნალჩიკები" გვერდზე გადავდოთ და საქმეს შევუდგეთ". სკოლების გახსნა, წერა-კითხვის გავრცელება ხალხში საქმე არა ყოფილა. მაშ, რა არის საქმე?

„თუ წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას ჰსურს კვალი დააჩნიოს ჩვენი ხალხის წინსვლას, ის მცირე თანხა, რომელიც მის ხელშია უმთავრესად წიგნთსაცავ სამკითხველოების გახსნას მოახმაროს"

ბიბლიოთეკები კარგია. აბა ვინ იქნება ბიბლიოთეკების გახსნის წინააღმდეგი, მაგრამ ვინ იკითხოს ამ ბიბლიოთეკებში, თუ ხალხს წერა-კითხვა არ ეცოდინება?

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ჟურნალი **„ზავეტი"** ვრცელს წერილს უძღვნის მუშათა მოძრაობას 1913 წლის განმავლობაში და ცალ-ცალკე ახასიათებს გაფიცვებს, დაზღვევის საქმეს, პროფესიონალურ მოძრაობას და კულტურულს მუშაობას.

გაფიცვები ორნაირი ხასიათისა იყო: ეკონომიური და პოლიტიკური, თუმცა ერთი მეორეს თან მისდევდა ხშირად, ერთი მეორეში იყო გადახლართული. ამ მხრივ უკანასკნელი დრო დიდად განსხვავდება წინანდელ წლებისაგან. 1904—05 წლებში გაფიცვები იწყებოდა ეკონომიურ ნიადაგზე და შემდეგ იღებდა პოლიტიკური ბრძოლის ხასიათს; ეხლა პირ-იქით, პოლიტიკურს მოძრაობას მოსდევს ეკონომიური ბრძოლა. წმინდა პოლიტიკური გაფიცვა გასულ წელს იყო ექვსი: 9 იანვარს (1905 წ. მოგონება), 4 აპრილს (ლენის ამბების წლის თავი), 1 მაისს, გაფიცვა მატროსების გასამართლების საპროტესტოდ, გაფიცვა მუშათა გაზეთების დევნის საწინააღმდეგოდ და 6 ნოემბერს გაფიცვა ობუხოვის მუშების გასამართლების გამო. ყველა ამ გაფიცვამ გამოიწვია ეკონომიური გაფიცვების განვითარება. ეკონომიური გაფიცვები ხდებოდა ცალ-ცალკე წარმოებაში, ცალ-ცალკე ფაბრიკასა და ქარხანაში, ხოლო ზოგიერთს გაფიცვას საზოგადო, ფართო ხასიათიც ჰქონდა. გაფიცულთა მოთხოვნილება მეტწილად შეეხებოდა სამუშაო ქირის მომატებას, სამუშაო დღის შემცირებას კი მოითხოვდნენ იშვიათ შემთხვევაში. გაფიცვები უფრო ნაყოფიერი იყო პროვინციებში, ვინაიდან აქ მწარმოებელნი არ არიან შეკავშირებულნი და მათ წარმოებასაც არა აქვს „სახელმწიფოებრივი" მნიშვნელობა.

დაზღვევის საქმეში პირველი ადგილი უკავია საავადმყოფო კასებს, რომლის შესახებ კანონი დამტკიცდა 1912 წ. 23 ივნისს. ამ კანონმა დიდი მოძრაობა გამოიწვია მუშებში: დაიბადა ორნაირი მიმართულება: ბოიკოტისტების (მოწინააღმდეგეების) და ანტიბოიკოტისტების (მომხრეების). ასეა თუ ისე ახალი კანონი ცხოვრებაში შედის და მუშებისათვის იბადება ახალი ასპარეზი გათვითცნობიერებისა და მოქმედებისათვის.

„საავადმყოფო კასების შემოღებით მუშათა პროფესიონალურ კავშირებს ჩამოშორდა მეტი წილი საურთიერთო დახმარების საქმეებისა, რომელსაც 1908 წლიდან დიდს ყურადღებას აქცევდა პროფესიონალური მოძრაობა... კასების დაარსების შემდეგ პროფესიონალურ კავშირების უმთავრესი საქმე იქნება გაძღოლა გაფიცვებისა".

რუსეთის ქალაქებში პროფესიონალურ მოძრაობის განვითარება საგულისხმიეროა—პეტერბურგსა, მოსკოვსა, ლოძსა, ვარშავასა, რიგასა, ბაქოსა, კიევსა და დონის როსტოვში. ამ ქალაქებში მეტად მაგრადა აქვთ მოკიდებული ფეხი პროფესიონალურ კავშირებს და დაკეტილების ნაცვლად დაუყოვნებლივ არსდება ახლები.

კავშირები გასულ წელს უმთავრეს ყურადღებას აქცევდნენ გაფიცვების ხელმძღვანელობას, დაზღვევას, რუსეთის საგიგიენო გამოფენაში მონაწილეობის მიღებას და საურთიერთო დახმარების ზოგიერთ დარგის მოწყობას.

დიდს როლს თამაშობდა მუშების ცხოვრებაში განათლების და კულტურის სხვა და სხვა საზოგადოება.

„გასულმა წელმა გამოაშკარავა, რომ პროლეტარიატს გაუჩნდა საკუთარი ინტელიგენცია, რომელიც აღჭურვილია შემოქმედებითი ნიჭით. ეს ინტელიგენცია კრებებსა და კომისიებში კითხულობს მოხსენებებს, სწერს მუშათა გაზეთებსა და ჟურნალებში და ზოგიერთები ლექციებსაც კითხულობენ განსაზღვრულ საგნების შესახებ".

მუშებს დაებადათ იმის სურვილიც, რომ დაარსონ საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი (საპროლეტარო უნივერსიტეტი) და გამოსცენ საკუთარი მუშური ჟურნალი.

დასასრულ წერილის ავტორი ამბობს, რომ რუსეთში მუშები დღეს წელში გაიმართნენ, თავი გაინთავისუფლეს რეაქციის კლანჭებისაგან და გადალახეს ბნელეთის ძალები. ჯერ სამუშაო ბევრია, მაგრამ მუშაობა უკვე დაიწყო და დაწყებული საქმე მკვიდრ ნიადაგზეა დაყენებული.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ილიას სახლის გამოსასყიდად** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ პროვიზორ ალხაზიშვილისაგან 600 მან. მიიღო. ბ-ნ ალხაზიშვილს ეს ფული შეუგროვებია ბაქოს ქართველთა შორის. ამავ მიზნისთვის გამგეობამ **ლეონიდე ეპისკოპოზისაგან** 25 მან. მიიღო.

✦ **არჩილ ჯორჯაძის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველო**, რომლის ნებართვაც უკვე აიღო ქ. შ. წ.-კ. გამარც. საზოგადოების გამგეობამ, ამ დღეებში გაიხსნება შორაპნის მაზრის სოფელ არგვეთში.

✦ **ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისია** მუშაობის გასაადვილებლად ოთხ სექციად დაიყო. თითო სექციას ჩაბარებული აქვს ქალაქის თვითმმართველობის თითო განყოფილების რევიზია. პირველ სექციის წევრებად არიან: ლ. გ. ევანგულოვი (თავჯდომარე), შ. ვ. ალექსი მესხიშვილი და ი. ნ. ხუნუნცი, მეორისა—ს. გ. მ. ზამანოვი (თავჯდომარე), ა. მ. ტერტეროვი და შ. ი. მარტიროსიანცი, მესამისა—მ. ზ. ქანანოვი (თავჯდომარე), თ-დი ლ. ა. ვაჩნაძე, ხ. ნ. კეილი, ი. ა. თამამშევი და ნ. ლ. ხარაზიანი და მეოთხისა—ს. თ. პრელაშვილი (თავჯდომარე), გ. ნ. კეილი, ბ. ა. პოპოვი და ს. მ. ნუნუფაროვი.

✦ **ტფ. ახალი პოლიცმეისტერი** პოდპოლკოვნიკი ზლანოვსკი თვის თანამდებობის აღსრულებას გუშინ შეუდგა.

✦ **სახალხო სახლის გამგე კომისიის** წევრნი ქალაქის საბჭომ 17 თებერვალს აარჩია. კომისიაში შემდეგი პირნი მოხვდნენ: ქალაქის საბჭოს წარმომადგენელნი—თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი და მ. დოლუხანოვი, ქართულ დრამატიულ საზოგადოების წარმომადგენელი ა. ბ. მდივანი, სომხურ დრამატიულ საზოგადოების წარმომადგენელი—გ. პ. მელიქ-ქარაყაშიანი და სახალხო კითხვათა საზოგადოებისა—ა. ს. ბაბოვი.

✦ დეპეშათა სააგენტო ატყობინებს: მინისტრთა საბჭომ მოიწონა საკანონმდებლო დაწესებულებებში წარსადგენად კანონ-პროექტი სამაზრო კრების თავმჯდომარეთა და საგუბერნიო საკრებულოს და სამაზრო კრების მდივანთა ჯამაგირის მომატებაზე.

✦ **ქალთა უმაღლეს კურსებზე** გუშინ წინ ა. ბახუტოვმა მოხსენება წაიკითხა ამ სათაურით: „სასანიდების ნავრუზი და ქართველების ახალი წელიწადი". მომხსენებელმა ის აზრი გაატარა თავის მოხსენებაში, რომ ქართველებმა თავისი საახალწლო ჩვეულებანი გადმოიღეს სპარსელების ნავრუზის (გაზაფხულის დღესასწაულის) წესებიდანო. ა. ბახუტოვის შემდეგ მოხსენება უნდა წაეკითხა ი. აბულაძეს „ვეფხის ტყაოსნის" სიუჟეტის წარმოშობის შესახებ, მაგრამ ავადმყოფობის მიზეზით უარი განაცხადა.

✦ რედაქციამ მიიღო სამეურნეო ჟურნალი **„სასოფლო გაზეთი"** მე-6 ნომერი შემდეგის შინაარსით: სოფლის ქირ-ვარამი; სიმინდის მარცვლის ჩრჩილი და იმის მომსპობი საშუალება აგრ. ერ. ნაკაშიძე; წერილი საძირე ვაზზე, დ. მდივანი; საქონლის ნაკელის შენახვა-მოხმარება, ივ. ელენტი; ცნობები გიდროტეხნიკის შესახებ, ალ. ვაშაკიძე; ინდაურების მოვლა-მოშენება ა. ლ—ი; მეფუტკრეობა სამეგრელოში არ. ფან—ლაია; მეხილეთა საყურადღებოდ, სანგანიძისი. მეურნეთა საყურადღებოდ. წერილი ხაბუმიდან ერ. კაჭარავა და სხვ.

✦ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი **თ-დი დ. თ. ნიჟარაძე** გუშინ ტფილისს ჩამოვიდა და „კავკაზ"-ის სასტუმროში ჩამოხტა.

✦ **ქალაქის გამშვენიერება.** კვირას, 16 თებერვალს, ქალაქის მეოთხე საარჩევნო უბნის (ხარფუხი-ორთაჭალა-ავლაბარი), ამომრჩეველთა, თათბირი მოხდა ხმოსნების მ. ზ. ქანანოვისა, ი. ა. თამამშევისა, გ. ზ. თამამშევისა, ა. მ. ტერტეროვისა და ბ. ა. არუთინოვის მონაწილეობით. თათბირს 30-დე ხმოსანი დაესწრო. ამომრჩევლებმა ითათბირეს ამ უბნის გამშვენიერების შესახებ და დაადგინეს: 1) გაუქმებულ იქმნეს მოედნის ბაზარი და მის ნაცვლად შეძენილ იქმნეს სასულიერო უწყებისაგან საჭირო მიწა, ამ უწყებასთან მოლაპარაკება ბ-ნ ბასტიანოვსა და ნეგოვიტოვს დაევალოს, 2) დაევალოს ბ-ნთ შათირიშვილსა და ალი მამედოვს, რათა ამოარჩიონ შესაფერი ადგილები ნაგვის გადასაყრელად, 3) ეთხოვოს ქალაქის გამგეობას, გააუქმოს თულაევის საღორე (საგუბერნიო ციხესთან), რომელიც ჰაერსა სწამლავს, 4) ეთხოვოს გამგეობას, მოაწეს-რიგოს ადელხანოვის ქარხანასთან მდებარე ხევი, რომელიც წყალდიდობის დროს მცხოვრებთ დიდ ზარალს აძლევს, 5) ეთხოვოს გამგეობას, რათა ვორონცოვის ქუჩიდან მნაცაკანიანთ ხიდით, ნავთლუღში ტრამვაის შტო გაიყვანოს, 6) ეთხოვოს გამგეობას, რათა წყლის მილი გაიყვანოს ხარფუხსა და მირზოევის ქუჩაზე, 7) შეუდგეს არხების მოწესრიგების საქმეს, 8) ეთხოვოს გამგეობას, რათა მოაწყოს-რიგოს საცალ-ფეხო ხიდი ავლაბარაში, ეტაპხი შესახვევში. 9) იზრუნოს, რათა ხარფუხში ჩქარა გაიხსნას საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილება, 10) ეთხოვოს გამგეობას, რათა ყურადღება მიაქციოს ამ უბანში ქუჩების მოკირწყვლასა და განათებას, 11) ეთხოვოს გამგეობას, რათა სატეხნიკო რჩევა-დარიგებით მაინც დაეხმაროს ორთაჭალის მებაღეებს, რომელთაც რკინის რიგიან ხიდის გაკეთება სურთ ახლანდელ ეგრედ წოდებულ „ვირების ხიდის" ნაცვლად.

✦ **გლეხთა განთავისუფლების დღე.** დღეს სრული 53 წელიწადი შესრულდა, რაც გლეხთა განთავისუფლების მანიფესტი გამოიცა რუსეთში. სამი წლის წინად ეს დღე რუსეთის საზოგადოებამ დიდის ამბით იდღესასწაულა. ტფილისის გუბერნიაში ბატონ-ყმობის გაუქმების კანონი დამტკიცდა 1864 წელს, 13 ოქტომბერს და გამოცხადდა იმავე წლის 8 ნოემბერს. ქუთაისის გუბერნიაში გლეხთა განთავისუფლება 1865 წელს მოხდა. ამ წლის 8 ნოემბერს სრულდება 50 წლის თავი, რაც მოისპო ტფილისის გუბერნიაში ბატონ-ყმობის ინსტიტუტი.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ პარასკევს, 28 თებერვალს, კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო დარბაზში (ალექსანდრეს ბაღის გვერდით) პუშკინის სამკითხველოს ზემო სართულში, ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების კრებაზე **ი. მჭედლიშვილი** წაიკითხავს თავის ახალს პოემას **„სული ობოლი"**. შესვლა ბილეთებით იქნება. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

✦ **ქალაქის სარევიზიო კომისიის** წევრთა კრება 20 თებერვლისთვის არის დანიშნული. კომისია ამ დღეს დაასრულებს მცირე კომისიის მოხსენების განხილვას სამიწისმზომლო განყოფილების რევიზიის შესახებ.

✦ **ამიერ-კავკასიის სამელიორაციო კრების** მომწვევ კომიტეტის ბიუროს კრება დღეისთვის არის დანიშნული მეფის მოადგილის საბჭოს კანცელარიაში. კრებამ უნდა შეიმუშაოს პროგრამა, დებულება და ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ კრებისა.

✦ საზოგადო კლუბის წევრთა წლიური კრება დანიშნულია შაბათს, 22 თებერვლისთვის. კრებამ უნდა განიხილოს წარსულის წლის მოქმედების ანგარიში და 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და აირჩიონ კლუბის მამასახლისი, მათი კანდიდატი და სარევიზიო კომისიის წევრნი. კრების შემდეგ თათბირი გაიმართება კლუბის მომავალ მოქმედების შესახებ.

## სასწავლებლებში

✦ **ალექსანდრეს სამოსწავლებლო ინსტიტუტის** ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ 28 თებერვალს რუსულ კლუბში საქველ-მოქმედო საღამო იმართება.

✦ **ქართულ სათავად-აზნაურო საქალებო სასწავლებლის** ტიპის შემუშავებელ კომისიას 17 თებერვალს თვის კრების გაგრძელება ჰქონდა. კომისიამ მთელი კრება ჰოანდომა სასწავლებლის დაწვრილებით პროგრამისა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას. კომისიამ ამ დღეს მუშაობა ვერ დაასრულა. კრების გაგრძელება დაინიშნა ორშაბათ, 24 თებერვლისთვის.

## ხონი.

✦ მოგზაური და მხატვარი ს. უვაროვი ჩამოვიდა ხონში და მხატვრობის შესახებ ლექცია წაიკითხა ადგილობრივ სკოლებში. ზოგიერთთაგანს ხატვის გაკვეთილიც მისცა.

✦ 14 თებერვალს გ. გაფრინდაშვილმა ოჯახური აღზრდის შესახებ რეფერატი წაიკითხა. რეფერატს ხალხი ცოტა დაესწრო.

მარტში სამოქალაქო სკოლაში სალიტერატურო საღამო გაიმართება. წარმოადგენენ გუნიას „და-ძმას".

## თელავი.

✦ საურთიერთო ნდობის საზოგადოების დამფუძნებელთა პირველი კრება დანიშნულია საკრებულო დარბაზში კვირას, 23 თებერვალს. ამ კრებაზე დასწრება ყველას ეთხოვება, რომ მალე შეიძლებოდეს ამ საჭირო დაწესებულების განხორციელება.

# ტფ. ქალაქის საბჭო

**17 თებერვლის კრება.**

კრება იწყება საღამოს რვა ნახევარ საათზე ქალაქის მოურავის მოადგილის **თ-დ ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის** თავმჯდომარეობით.

ქალაქის მდივანი **მ. ა. ჯაბარი** თავმჯდომარის თხოვნით სრულიად კითხულობს წარსულ კრების ოქმის იმ ნაწილს, რომელიც გამგეობის წევრის არჩევას შეეხება.

**თავმჯდომარე.** გარდაიცვალა ა. ფრიდონოვი, რომელიც ხმოსნად 39 წელიწადი იყო. ამის გამო გამგეობამ დაადგინა: 1) შეამკოს გვირგვინით განსვენებულის კუბო, 2) დაესწროს გამგეობა დასაფლავება და 3) თანაგრძნობა გამოუცხადოს განსვენებულის ჭირისუფლებს.

საბჭო ეთანხმება ამ დადგენილებას და ფეხზე ადგომით პატივსა სცემს განსვენებულის ხსოვნას.

**ხმ. ვასილიევი.** საჭიროა ჩქარა გადასწყდეს შეშის ვაჭრობის მოწესრიგების საკითხი, რომელიც მე კარგა ხანია აღვძარი.

**თავმჯდომარე.** გამგეობას ამის შესახებ მოხსენება უკვე შედგენილი აქვს და, თუ დრო დარჩა, დღეს წარმოგიდგენთ განსახილველად.

**ხმ. ევანგულოვი.** ბევრს ავტომობილზე შარშანდელი მოწმობა არის ჩამოკიდული; სჩანს, გამგეობიდან წელს ახალი მოწმობა აღარ აუღიათ და არც საჭირო გადასახადი შემოუტანიათ. საჭიროა, შესაფერი ღონისძიებანი იქმნეს მიღებული.

გამგეობა ამ განცხადებას მხედველობაში იღებს.

**ქალაქი და ფარმაცევტთა ამხანაგობა.**

ქალაქს გოლოვინის პროსპექტზე აქვს საკუთარი აფთიაქი, რომელიც იჯარით გაცემულია კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობაზე. ამას წინად ხმ. ქანანოვი გამგეობას შეეკითხა, რა მდგომარეობაშია ამ აფთიაქის საქმე და რა შემოსავალს იძლევა იგიო.

გამგეობის წევრი **მ. ნ. ათაბეკოვი** შეკითხვის პასუხად საბჭოს გადასცემს საქმის ვითარებას: შარშან, აპრილში, ქალაქის საბჭომ დაადგინა, ფარმაცევტთა ამხანაგობისათვის ჩამოერთმია აფთიაქი, რადგანაც ამხანაგობა საიჯარო ფულს წესიერად არ იხდის. გამგეობამ ამ დადგენილების თანახმად სასამართლოში საჩივარი აღძრა ამხანაგობის წინაშე. საქმე სასამართლოში მეტად გაჭიანურდა და ბოლოს, როგორც იყო, წარსულ წლის დეკემბერში გასარჩევად დაინიშნა, მაგრამ მაშინაც გადადებულ იქმნა, რადგანაც ამხანაგობამ თვის მხრივ საწინააღმდეგო საჩივარი წარმოადგინა, რომელშიც ამბობდა, აფთიაქის ინვენტარი დაძველებულია და ამის გამო დიდი ზარალი დაგვატყდა თავსაო. ახლა საქმე დანიშნულია აპრილისთვის და ვუცდით სასამართლოს გადაწყვეტილებას: ამის გამო ამ ჟამად ამხანაგობისაგან საიჯარო ფულს ვერ ვიღებთ.

**ხმ. სულაბერიძე.** ამ ჟამად ყველა ქალაქი სცდილობს, რომ საარფთიაქო საქმეები თვითვე განაგოს. ჩვენი გამგეობა კი წინააღმდეგს სჩადის. საჭიროა, რაც შეიძლება, ჩქარა ჩაიბაროს ქალაქმა ეს აფთიაქი და თვითვე აწარმოოს. აგრეთვე საჭიროა, ამ აფთიაქის ინვენტარის განახლება.

**თავმჯდომარე.** ამ საკითხს წინასწარ განსახილველად სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს გადავცემთ.

**ხმ. ბაბოვი.** უცნაურია გამგეობის მოქმედება: აფთიაქის საიჯარო გადასახადს ვერასოდეს ვერ იღებს სრულიად. წინანდელმა მოიჯარადრემ 7,000 მან. შეჭამა. ახალი მოიჯარადრეც, ფარმაცევტთა ამხანაგობა—არ იხდის წესიერად ფულს. საკვირველი არც არის, რომ გამგეობამ ამხანაგობას ხელმეორედ იჯარით მისცა აფთიაქი მაშინ, როდესაც იცოდა, რომ იგი იჯარის წესიერი გადამხდელი არ იყო.

**თავმჯდომარე.** სხვამ არავინ არ აიღო იჯარით. ყველა იმას გვეუბნებოდა, ჯერ ინვენტარი განაახლეთ და მერე ავიღებთ იჯარითაო. განახლება კი 15,000 მან. ითხოვდა. ფარმაცევტთა ამხანაგობა ინვენტარის განუახლებლად დასთანხმდა აფთიაქის იჯარით აღებას.

**ავტომობილთა მიმოსვლის წესი და ნიხრი.**

გამგეობამ საბჭოს წარმოუდგინა მოხსენება ავტომობილთა მიმოსვლის წესისა და ნიხრის შესახებ. მოხსენება საბჭომ დაამტკიცა. ნიხრი შემდეგი იქმნა დაწესებული: ყოველს სამგზავრო ავტომობილს უნდა ჰქონდეს ნიხრის საზომი; დღისით მგზავრებმა, არა უმეტეს ორისა, უნდა გადაიხადონ: პირველ გავლილ ვერსზე—40 კ. შემდეგ კი თვითეულ მესამედ ვერსზე—10 კ. ორზე მეტმა მგზავრმა უნდა გაიდაიხადოს პირველ ვერსზე—60 კ. დანარჩენ თვითვითეულ მესამედ ვერსზე—10 კ. იგივე ნიხრი დაწესდა ღამითაც არა ნაკლებ სამის მგზავრისთვის.

საბჭო ამასთანავე ადგენს, დიევალოს ავტომობილების პატრონთ, რათა ნიხრის საზომი მიმდინარე წლის 1 ივლისისთვის შეიძინონ.

**მუშტაიდზე ქუჩის გაყვანის** საკითხის განხილვა შემდეგ ორშაბათისთვის გადაიდო, რადგანაც ზოგიერთ ახალ ცნობის შეკრებაა საჭირო.

**შიოლევისეული სახლი.**

ამ საკითხმა წინა კრებაზედაც ხანგრძლივი კამათი გამოიწვია და საბჭომ საფინანსო კომისიას დაავალა, საკითხი ყოველ მხრივ გამოერკვია და თვის დასკვნა წარმოედგინა. საქმის ვითარება ასეთია: გოლოვინის პროსპექტზე, სადაც შიოლევისეული სახლი ჩამოინგრა, განზრახულია ახალ შენობის აგება, სადაც „კრუჟოკ"-იც მოთავსდება. წინა კრებაზე გამგეობამ წარმოადგინა მოხსენება, რომელშიც ითხოვდა სამ სართულიან შენობის აგებას: ერთს სართულს მაღაზიებისთვის, დანარჩენ ორს „კრუჟოკ"-ისთვის.

**თავმჯდომარე.** საფინანსო კომისიამ თქვენი დავალება შეასრულა. მისი დასკვნა ასეთია: აგებულ იქმნას სამ სართულიანი შენობა, რომელიც დაგირავებულ უნდა იქმნეს შემდეგში 275,000 მან. რადგანაც „კრუჟოკ"-ი უარს ამბობს ცენტრალურ გათბობაზე, ამიტომ კომისია საჭიროდ სცნობს, შესრულოს „კრუჟოკ"-ის სურვილი და ამ საქმეზე ხელი აიღოს, იმ პირობით კი, რომ საბჭომ ცენტრალურ გათბობის მოსაწყობად საჭირო ფული 17,000 მან. ახლავე გადასდოს და ახალს შენობაზე შეასრულოს ყველა ის წინასწარი სამუშაო, რომელიც შემდეგში საჭირო იქნება ცენტრალურ გათბობის მოსაწყობად. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ საფინანსო კომისიას ღრმად სწამს, რომ „კრუჟოკ"-ი დღევანდელს თვის აზრს შეიცვლის და ერთის ორის წლის შემდეგ ცენტრალურ გათბობას დასთანხმდება. გამგეობაც საფინანსო კომისიის აზრისაა.

**ხმ. სულაბერიძე.** სახლს ასე არავინ აშენებს. საჭიროა ცენტრალური გათბობა ახლავე მოეწყოს, რათა ზედ-მეტი ხარჯი არ გავწიოთ. „კრუჟოკ"-ს ბევრი რამ დავუთმეთ, ისიც საკმარისია.

**ხმ. მიტკევიჩიც** თხოულობს, რომ ახლავე მოაწყონ ცენტრალური გათბობა.

**ხმ. გოთუა.** „კრუჟოკ"-ის ინტერესებმა სრულიად დაჩრდილეს დანიშნულება და მიზანი შიოლევისეულ თანხისა. რახან შენობას ვაგებთ, უნდა ავაგოთ ტეხნიკის მოთხოვნილების თანახმად.

**ხმ. ანტონოვი.** სანამ რაიმეს დავადგენდეთ, საჭიროა „კრუჟოკ"-ს შევეკითხოთ.

საბჭო ადგენს: გადასდოს 292,000 მან. შენობის ასაგებად ცენტრალურ გათბობით.

# ქალაქის სკოლების გარშემო

(წერილი ქუთაისიდან).

იმერეთის დედა-ქალაქი ქუთაისი ჯერ-ჯერობით ღარიბია პირველდაწყებითი სკოლებით, რის გამოც განაპირა უბნები მოკლებულია განათლებას. აქ არსებობს შვიდი სკოლა სამინისტრო უწყებისა, ამათგან ოთხს ქალაქის გამგეობა თავისი ხარ-

ჯით ინახავს. სამს კი ადგილობრივი დირექცია სამინისტროს ხარჯით. ამათ გარდა არსებობს კიდევ ოთხი სამრევლო სკოლა. თუმცა სწავლის ფულად 2—5 მანეთამდეა წლიურად, ღარიბ მშობლებს მაინც მეტად უჭირთ იმისი გადახდა და ხშირად უფულობისა გამო თავიანთ შვილებს მთელი თვეობით ვერ უშვებენ სასწავლებლებში; წარმოიდგინეთ მასწავლებლის მდგომარეობაც: ის იძულებულია პოლიციის მოხელის როლი იკისროს და მოსწავლე არ შემოუშვას სკოლაში უფულოდ, რამდენჯერ მოვა, ყოველთვის უნდა გააგდოს გარედ საცოდავი ბავშვი და მოაცდინოს სწავლას.

ქალაქის სკოლებში დღემდე სწავლის ფული წლიურად ექვსი მანეთი იყო, ამასთანავე მოსწავლეთა 50 პროც. გადასახადიდან ანთავისუფლებდა გამგეობა საბჭოს დადგენილებით; ამა 1914 წლიდან დააყენეს წლიურად სამ მანეთზე 50 პროც. განთავისუფლებით, თუმცა იმედი გვქონდა, რომ გამგეობა და საბჭო სულ უფასო სწავლას შემოიღებდა და მასწავლებლებს და მოსწავლეებს იხსნიდა ასეთი წვალებისაგან. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქალაქის საბჭო მომავალ წლიდან მთლად მოსპობს ქალაქის სკოლებში გადასახადს.

ყოველ წელიწადს სექტემბრიდან დაწყებული იანვრამდე აუარებელი ბავშვი აწყდება ქალაქის სკოლებს, მაგრამ უადგილობისა გამო მასწავლებლები უარით ისტუმრებენ მთხოვნელებს; საშუალო რიცხვით ქალაქის ოთხივე სკოლა 200-მდე მოსწავლეს სტოვებს ყოველ წელიწადს [?]ოლის გარედ, ამავე დროს სხვა სკოლებიც სავსეა მოსწავლეებით. ყველაზედ მეტი მთხოვნელი მიდის ყოველ წელს ქალაქის მესამე სკოლაში, რომელიც არსებობს წყალგაღმა ნაწილში; წელს, მაგალითად; ამ სკოლიდან გამოისტუმრეს უარით 100 მოსწავლე მაინც. ქალაქს ამ მხარეზე აქვს მარტო ეს ერთი სკოლა, სადაც ქართველი ბავშვებია, სწავლა წარმოებს 1881 წლის სასწავლო გეგმით, როგორც დანარჩენ ქალაქის სკოლებშიაც. ამას გარდა აქეთ არსებობს კიდევ ერთი სამრევლო სკოლა და მეორე სამინისტრო სკოლა რუსთა ბავშვთათვის, თუმცა ამ უკანასკნელში ქართველი ბავშვებიც ბევრია, რადგანაც ისინი რუსის სკოლაში შესულან, რაკი ქალაქის სკოლებში ვერ უშოვნიათ ადგილი; ამ სკოლაში, რასაკვირველია, სწავლა სწარმოებს რუსულ ენაზე და ქართველი ბავშვებიც იძულებულნი არიან პირველ-დაწყებით სწავლა დაიწყონ უცხო ენაზე, სამშობლო ენა მათთვის უცხო ხილი[ა]. ამ გარემოებას სასკოლო კომის[იამ] ჯეროვანი ყურადღება უნდა მი[აქ]ციოს, იქონიოს მსჯელობა ქა[ლა]ქის საბჭოსთან და დროზე დაარ[სო]ს ქართველ ბავშვთათვის ერთი სკოლა წყალგაღმა ნაწილში ორპირის [?]უბანზე, სადაც ქალაქს აქვს საკუთარი ადგილი და შენობა, რომელიც ადვილად გადაკეთდება სასწავლებლისათვის.

როგორც მოგახსენეთ, ქალაქს ჯერჯერობით ოთხი სკოლა აქვს; ერთი ქალებისათვის ხუთ განყოფილებიანი და სამი ვაჟთათვის სამ-სამი განყოფილებით. ვაჟების სკოლებში კურს დამთავრებულნი დღემდე უმეტეს ნაწილად აგრძელებდნენ სწავლას სამოქალაქო ექვს კლასიან სასწავლებლებში, რადგანაც ეს სასწავლებლები ღარიბ მოსწავლეთათვის უფრო ხელსაყრელია; სამი განყოფილების დამთავრების შემდეგ, ზაფხულში ორი თვის მომზადებით რუსულსა საღვთო სჯულსა და კარნახის წერაში მათ იღებდნენ მეორე კლასში, მომავალი სამოსწავლო წლიდან კი ამ სკოლების მოსწავლეებს ესპობათ გზა სწავლის გასაგრძელებლად და გარიყულნი რჩებიან შემდეგი მიზეზისა გამო: სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულებით მომავალი სამოსწავლო წლიდან ექვს-კლასიანი სამოქალაქო სასწავლებლები გადაკეთებულ იქმნებიან მაღალ პირველდაწყებით სასწავლებლებად ოთხი წლის კურსით; ამის გამო, როგორც წელს დაიხურა ასეთ სასწავლებლებში ყველგან პირველი კლასები, ისე მომავალ სექტემბრიდან დაიხურება მეორე კლასებიც და დღევანდელი მესამე კლასი დარჩება პირველ კლასად, მაშინ ქალაქის სკოლებში კურს დამთავრებულ მოსწავლეებს აღარ შეეძლებათ იქ შესვლა და სწავლის გაგრძელება, უკეთუ არ ემზადნენ ერთი წლის განმავლობაში, რაც ღარიბ მშობლებს დაუჯდებათ სულ მცირე 7—8 თუმანი მაინც. ამიტომ მეტად საჭიროა მომავალ სექტემბრიდან, თუ სამივე ვაჟების სკოლაში არა, ერთში მაინც გახსნილ იქმნას მეოთხე განყოფილება, სადაც თავს მოიყრიან სამივე სკოლაში კურს დამთავრებულნი და გააგრძელებენ სწავლას და მეოთხე განყოფილების დამთავრების შემდეგ მათ შეეძლებათ თამამად შესვლა მაღალ პირველ-დაწყებითი სასწავლებლების პირველ კლასში, რომელთა რიცხვი ქუთაისში დღეს სამია.

მეოთხე განყოფილების გახსნა მოხერხდება ან პირველ სკოლაში, ან მესამეში; ორივე სკოლაში არის თავისუფალი საკლასო ო. ახი. ამ საკითხის განხილვის დროს კომისიამ უნდა მოიწვიოს სხდომაზე, როგორც გამგეები, ისე თითო წარმომადგენელი სკოლებიდან, ამასთანავე უნდა მოვიხსენიოთ, რომ სამოსწავლო კომისია ამ ბოლო დროს ძველებურად აღარ იწვევს სხდომებზე სკოლების გამგეებს და წარმომადგენლებს სასკოლო საკითხების გარჩევა-განხილვის დროს; ამ გარემოებამ წასულ კვირაში გამოიწვია პატარა უსიამოვნება კომისიასა და მასწავლებელთა შორის, რასაც საბაბად შეექმნა შემდეგი შემთხვევა:

როდესაც პეტერბურგის მასწავლებელთა კრებიდან ქუთაისში დაბრუნდა ქ-ნი ბერეკაშვილი, მან თებერვლის პირველ რიცხვისათვის ქალების სასწავლებელში პეტერბურგში გამართულ მასწავლებელთა კრების შესახებ მოხსენების წაკითხვა მოისურვა და მოიწვია ოთხივე ქალაქის სკოლის მასწავლებლები. ამასთანავე აცნობა სამოსწავლო კომისიის წევრებს და გარეშე პირთაც, თუ ისურვებდნენ დასწრებოდნენ ქალების სასწავლებლის დარბაზში, საღამოს რვა საათზე, მოხსენებისა და ანგარიშის წაკითხვას. შაბათს, პირველ თებერვალს, ნაშუადღევს ოთხივე სკოლას გაეგზავნა ხელმეორედ ოფიციალური ქაღალდი სასკოლო კომისიისაგან, რომელიც ვალდებულად ხდიდა მასწავლებლებს ხელი მოეწერათ ამ საერთო უწყებაზე და საღამოს რვა საათზე მისულიყვნენ მოხსენების მოსასმენად არა ქალების სასწავლებლის დარბაზში, არამედ ქალაქის გამგეობაში. საღამოს რვა საათზე მასწავლებლები შეიკრიბნენ ქ-ნ ბერეკაშვილის მოწვევით ქალების სასწავლებელში და განუცხადეს მას, რომ ისინი თანახმად იმის მოწვევისა მივიდნენ ქალების სასწავლებელში და რაც შეეხება კომისიის ჩარევას და მათ მიერ ოფიციალური ქაღალდით დაბარებას ამას არ ღებულობენ და არც მიდიან გამგეობის დარბაზში იმ მიზეზისა და მოსაზრებისა გამო, რომ რადგანაც სასკოლო კომისია, არც გამგეებს და არც მასწავლებლებს თავის სხდომაზე აღარ იწვევს სკოლის არავითარი საკითხის გარჩევის დროს, ამიტომ უარს აცხადებენ გამგეობაში მისვლაზე კომისიის ოფიციალური მიწვევით. ქ-ნმა ბერეკაშვილმა აცნობა ეს გარემოება მასწავლებლების და გამგეების დავალებით სასკოლო კომისიას და შემდეგ წაუკითხა მათ გამგეობაში მოხსენება, რომელსაც დაესწრო მხოლოდ ორიოდე მასწავლებელი.

ამ ინციდენტმა უსიამოვნება გამოიწვია კომისიის წევრებში. თავის ამხანაგ მასწავლებლებს ქ-ნმა ბერეკაშვილმა წაიკითხა ესევე მოხსენება საკუთრად ქალაქის პირველ სკოლაში ოთხშაბათს, ხუთ თებერვალს, ქ-ნ ბერეკაშვილის მოხსენების წაკითხვას დაესწრნენ ქალაქის სკოლის ყველა მასწავლებლები, აგრეთვე რამდენიმე მასწავლებელი ქართული გიმნაზიიდან და საეპარქიო სასწავლებლიდან.

საჭიროა სასკოლო კომისიამ მოიწვიოს სხდომებზე სათათბირო ხმის უფლებით მაინც სკოლების გამგეები ანუ თითო წარმომადგენელი სკოლების საკითხების გარჩევის დროსა რათა სკოლების წარმომადგენლებმა გააცნოს კომისიას თავ-თავიანთი სკოლის ვითარება და საჭიროება აგრეთვე საშუალება ეძლეს მასწავლებლებს მეორე დღეს შეიტყონ, თუ რა საგანზე ჰქონდა კომისიას მსჯელობა და რა დაადგინა ამა თუ იმ საკითხის თაობაზე. აქ მე მგონია საწინააღმდეგო არაფერია და არც დირექციის ნებართვაა საჭირო ყოველთვის. როგორ იქნება კმაყოფილი კომისიაზე ის გამგე, რომლის სკოლის საკითხზე მსჯელობა აქვსთ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კომისია მიაქცევს ყურადღებას ქალაქის ღარიბი მცხოვრებლების მოსწავლე ბავშვების ბედ-იღბალს, თან მასწავლებლებსაც მოიმადლიერებს და დაამყარებს მათთან მჭიდრო კავშირს სკოლების საქმის წარმატებისათვის.

ლადო ბზვანელი.

# ანგარიში

**ტფ. ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს საზოგადოებისა**

ჩვენ საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რა გაჭირვებას განიცდის ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიის მოწაფეთა უმეტესობა, რომელთაც უსახსრობის გამო არა თუ ხეირიანი ბინა—საჭირო საზრდოც-კი არ მოეპოვებათ. ამ კვარ პირობებში სწავლა და განვითარება—რა თქმა უნდა, მეტად ძნელია. 1912 წ. ქართველ ქალთა ერთმა ჯგუფმა განიზრახა ხსენებულ გიმნაზიაში უფასო სასადილოს დაარსება, რომ ღარიბ მოწაფეთათვის მიეწოდებინა ყოველ დღე სადი საჭმელი. შეიმუშავეს წესდება, რომელიც მთავრობამ 1912 წ. აპრილში დაამტკიცა. ამ დღიდგან დამფუძნებელ წევრთაგან შემდგარი გამგეობა შეუდგა მოქმედებას—ცდილობდა შეეგროვებინა განზრახულ საქმისთვის საჭირო თანხა. ქართველი საზოგადოება დიდის თანაგრძნობით მიეგება ამ საქმეს და როგორც საზოგადო დაწესებულებათ, ისე კერძო პირთ უხვი შემოწირულება გამოიღეს; ასე რომ 1914 წ. 1 იანვარს მარტო შემოწირულება*) შეადგენდა 5999 მან. 32 კ.

საზოგადოებას ჰყავდა სულ 305 ნამდვილი წევრი, 59 დამხმარე და 17 მუდმივი.

3 ოქტომბერს 1912 წ. სასადილო გაიხსნა და 102 ბავშვმა დაიწყო სადილობა. 1913 წ. იანვარში გამგეობამ შესაძლოდ სცნო ეს რიცხვი 115 მდე აეყვანა, რადგან მეტად დიდი მოთხოვნილება იყო და არც ხარჯი აღემატებოდა საზოგადო კრების მიერ დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვას. იმავე წელს აპრილში ამ რიცხვს კიდევ 5 ბავშვი მოუმატა გამგეობამ განსვენებულ მოღვაწის არჩილ ჯორჯაძის ხსოვნის აღსანიშნავად.

ბავშვებს ეძლეოდათ ყოველ-დღე ერთი თავი საჭმელი ხორცის წვნიანი, კვირაში ერთხელ კი ორი თავი და ერთხელ ლობიო. კვირაობით ბავშვები ნაკლებათ დადიოდნენ. დღესასწაულში, როცა ბავშვები დათხოვნილი იყვნენ, სასადილო იკეტებოდა. საანგარიშო წლის 3 ოქტომბერს 1912 წ.—1914 წ. 1 იანვრამდის—სულ 29687 სადილი მიცემული 312 დღის განმავლობაში. თითო ბავშვზე იხარჯებოდა დაახლოვებით 11 კაპეიკი.

სასადილოს ჰყავს გამგე, რომელსაც მინდობილი აქვს სანოვაგის არჩევა და სასადილოს ყურის გდება; გარდა ამისა ყოველ დღე გამგეობის ერთ-ერთი წევრი მორიგეობს სასადილოში. საანგარიშო წლის განმავლობაში გამგეობას ჰქონდა ერთი საზოგადო კრება და გამგეობის 20 სხდომა, რომელზედაც განხილული იყო სასადილოს სხვა და სხვა საქმე.

1912—13 წ. განმავლობაში საზოგადოების შემოსავალი იყო 8211 მ. 2 კაპ. ხარჯი კი 3075 მან. 59 კაპ. 1914 წ. პირველ იანვრისათვის საზოგადოებას ჰქონდა—5135 მან. 43 კაპ. 1914 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 3400 მანეთს უდრის.

დაწვრილებითი ანგარიშების მიღება მსურველთ შეუძლიანთ ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებაში.

*) ამ რიცხვში შედის მუდმივ წევრთა ფულიც.

# ხმა ოდესიდან

4.

აქაურ ქართველობისთვის 7 თებერვალი კარგი დღესასწაული იყო—ბირჟის დიდ დარბაზში საღამო გაიმართა. ამ საღამოსთვის ქართველი სტუდენტობა თითქმის ერთის თვის წინად შეუდგა მზადებას და შესაფერადაც მოაწყო. თუმცა პარასკევი იყო, მაინც ხალხი მრავალი დაესწრო და ნასიამოვნებიც დაიშალა.

მთელი დარბაზი სხვადასხვანაირად იყო მორთული. იდგა რამდენიმე კიოსკი: ქუდი, დუქანი ქვევრითა, ნაძვის ხეებში გამართული დათოვლილი კოხი, ქართველ ქალების კიოსკი და სხვა. უკანასკნელ კიოსკის კედელზე გაკრული იყო მშვენივრად დახატული სურათები „ვეფხის-ტყაოსნიდან“. საღამოს გარეგან მხარეს არა უშავდა რა. ახლა შინაარსი გავშინჯოთ.

საზოგადოდ, ამისთანა საღამოებით ზოგიერთებს ჰგონიათ ვილაცას თავი გააცნონ, თავი მოაწონონ. ეს, რასაკვირველია, შეცდომაა. ბალისებურ საღამოთი ვერც ვერავის გაიცნობ, ვერც უჩვენებ რასმე შესანიშნავს და ნამდვილ დამახასიათებელს. ჩვენ მხოლოდ უნდა ვცდილობდეთ, შეძლებისამებრ ქართული ხასიათი მივცეთ ამისთანა საღამოებს არა ვისიმე გასაცნობად, არამედ იმიტომ, რომ ეს სასარგებლოა ჩვენთვისაც და დამსწრე უცხოელთათვისაც. საღამოს ერთი მნიშვნელობა კიდევ აქვს (გარდა მატერიალურისა)—იგი შეაერთებს ხოლმე ქართველ სტუდენტობას და ერთად მუშაობას აჩვევს.

წლევანდელი საღამო მაინც და მაინც დიდი შინაარსისა არა ყოფილა. უმთავრესი ქართული გუნდი უნდა ყოფილიყო. ამ გუნდის მოთავედ სტ. ივლ. აფხაიძე იყო და უნდა ითქვას, რომ იგი ნიჭიერი ახალგაზდაა. მაგრამ გუნდში სანახევროდ უცხოელები იყვნენ და ცოტა ხანში მათი კარგად მომზადება შეუძლებელი იყო. ამიტომ ზოგიერთი სიმღერა ხმაშეწყობილად ვერ შეასრულა გუნდმა. ყველას სჯობდა „ცანგალა“ ზ. ფალიაშვილისა და „დედა“ ზ. ფოცხვერაშვილისა. კარგი იყო აგრეთვე „ალავერდი“, სადაც მომღერალს რუსის არტისტი ბ. ქარკოვსკი ამბობდა. მოხდენილად იმღერა „გენაცვალე“ (ქართულად) ქალაქის თეატრის მსახიობმა იზა კრემერმა. ამავე მსახიობმა და ბ. ბირსმა ხალხი დიდად ასიამოვნეს ოპერა „ციგან-პრემიერის“ ერთი ადგილის ასრულებით. იყო აგრეთვე დეკლამაცია და სიმღერა სხვა მსახიობებისა. მეთარეებმა სტ. გაზიანის მეთაურობით მშვენივრად დაუკრეს „ჯორჯიაშვილი“ და სხვა რამდენიმე სიმღერა. დასასრულ გაიმართა ლეკური და კინტოური. მოხდენილად იცეკვეს ლეკური თამარ კურდღელაშვილმა და მ. კვინიხიძემ. აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება ალ. კვალიაშვილის კინტოურმა. თავზე ბოთლი ედგა და ისე იცეკვა. საღამოზე 60 კაცამდე (ქალი და ვაჟი) ქართულად იყო გამოწყობილი. აქაურ რუსულ გაზეთებში საღამოს ქება იყო. შემოსავალი ვარაუდით შარშანდელზე ნაკლები იქნება—1300 მ.

მადლობის ღირსია სტ. გ. გუგულაშვილი და მთელი საბალო კომისია გაწეულ შრომისთვის.

ბოლოს აღსანიშნავია ერთი რამ. ზოგიერთებმა მოინდომეს ქართული ემბლემის (წითელი და შავის) ბანტად გულზე გაკეთება. ასტყდა ერთი აყალ-მაყალი, საღამოს ნებას აღარ მოგვცემენ, მთავრობა შეგვინიშნავს, საშიშია, სკანდალი მოხდებაო და სხვა. ასე რომ ვერაფერი მოხერხდა და ყველას უბრალო ლენტები ჰქონდა, მაშინ როცა შეიძლებოდა საქმე სხვანაირად, უფრო კარგად მოგვეწყო.

* *

ამ ბოლო ხანში ერთი ამბავი მოხდა, რომელიც ქართველ ადამიანს არასასიამოვნო ფიქრებს აღუძრავს. საზოგადოდ მთელი ჩვენი სტუდენტობა და ინტელიგენცია ასეთია, რომ არა აქვს პატივისცემა სხვისი პიროვნებისა, თავმოყვარეობისა, შესაფერი ფასი ვერ დაუდვია სწორედ ამ პიროვნებისათვის. ამიტომ არის ასე ხშირი ერთმანეთის შეურაცხყოფა, გაბიაბრუება, დამცირება და ცემა-ტყეპაც. ამ დღეებში საბალო კომისიის ერთმა წევრმა შელაპარაკების დროს მოქმედებით შეურაცხყო სათვისტომოს გამგეობის წევრი. გავიდა ორი-სამი დღე და გამგეობის წევრმა სამაგიერო მიუძღვნა—ბირჟის დარბაზში ჩხუბი აუტეხა. მას მიეშველა ძმა და შეიქმნა ერთი დავიდარაბა, ცხვირ-პირის მტვრევა. სამწუხარო აქ ის არის, რომ ამ საქმეში ისეთი ხალხი ურევია, რომელთაც შეგნებული პირების სახელი აქვთ მოხვეჭილი და სხვას მაგალითს უნდა აძლევდნენ. და ყველაფერი იმის ბრალია, რომ ერთმანეთის პატივისცემა არა გვაქვს, არამც თუ მოქმედებაში, არამედ უბრალო ლაპარაკშიაც კი.

დასასრულ ერთი რამ უნდა ვსთქვა. ზოგიერთებს ვერ შეუგნიათ, თუ რა განსხვავებაა კორესპონდენტსა და მექრონიკეს შორის და მისაყვედურებენ ხოლმე: რატომ ესა და ეს არ აღნიშნე, ამან იჩხუბა, იმანაო და სხვა. იძულებული ვარ ერთხელ და სამუდამოდ ვუპასუხო: როგორც კორესპონდენტი მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რაც დიდი და ყურადსაღებია და აქაურ საზოგადოების გულისყურს მიიპყრობს. თორემ რამდენ სტუდენტს ერთმანეთში ჩხუბი მოუვა, ყველა თუ აღინიშნა, გაზეთი იმას მოუნდება და არც თუ მკითხველისათვის უნდა იყოს საინტერესო ამისთანა წვრილმანები...

ქ. რაჭველი.

# მუშათა ცხოვრება

**წიგნის ამკინძავთა შრომა.**

პეტერბურგში მოხდა საზოგადო კრება წიგნის ამკინძავთა. კრებაზე გამოირკვა, რომ ამ დარგის მუშები გაცილებით ცუდ პირობებში იმყოფებიან, ვიდრე სხვა დარგის მუშები. სახელოსნოების პატრონნი თანდათანობით სდევნიან სახელოსნოებიდან კაცებს და იღებენ ბავშვებსა და ქალებს, რომელთა შრომაც ნაკლებად ფასობს. 9—10 საათიან სამუშაო დღე 70 კაპ. ფასობს. ამის გარდა მუშები ზედ-მეტი სამუშაოთი არიან დატვირთულნი. ასე, რომ სამუშაო დღე 13—14 საათს აღწევს. მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კრებამ დაადგინა მონაწილეობა მიიღონ საპროფესიო ორგანიზაციებში, სადაც შესაძლებელი იქნება დაარსონ საავადმყოფო კასები და სხვა. ამასთანავე კრებამ დაადგინა ახლო ხანში მოიწვიონ ახალი კრება, მიმდინარე საკითხების გადაწყვეტად.

**მუშათა გაფიცვა.**

ვარშავაში იარნუშკევიჩის ქარხნის მუშები გაიფიცნენ და ქარხნის ადმინისტრაციას ეკონომიური მოთხოვნილებანი წარუდგინეს. გაფიცვამ ერთ კვირას გასტანა. მუშებმა გაიმარჯვეს.

**მუშების შეპყრობა.**

ვარშავაში 40 მუშას ფარული კრება ჰქონდა. პოლიციამ კრებას მიაგნო და ყველანი დააპატიმრა.

**მუშების შუამდგომლობა.**

მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიჰმართეს სათათბიროს სოციალ-დემოკრატთა ფრაქციას, მიიღონ ღონისძიებანი, რათა მუშათა ლეგალური ორგანიზაციები პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ არ იმყოფებოდეს. შუამდგომლობაში ჩამოთვლილია მაგალითები პოლიციის მიერ შევიწროვებისა.

**ქალთა საერთაშორისო დღე.**

ახლოვდება ქალთა საერთაშორისო დღესასწაული. მუშათა შორის იღვიძებს ინტერესი ქალთა მოძრაობისადმი. ყველა ლეგალური საზოგადოება აგროვებს ცნობებს მუშა ქალთა სამუშაო დღეზე, ხელის ქირაზე და სხვა. ყველა შეგროვილი მასალა გამოქვეყნდება მუშათა პრესაში; იმართება ლექციები და რეფერატები ქალთა საკითხზე. დღესასწაულის გამმართველნი ცდილობენ დღესასწაულში მონაწილეობა მიაღებინონ ფაბრიკა-ქარხნების მუშა ქალთა გარდა, ხელზე მოსამსახურე ქალებსაც.

**ზოლინგენი** (დეპეშა). იარაღის მჭრელმა მუშებმა დაადგინეს ბოიკოტი გამოუცხადონ სინგორნის საიარაღო ქარხანას, რომელიც იარაღის მასალას საზღვარ-გარეთიდან იწერს.

# თელავის ამბები

თელავში 18 ათასი მცხოვრები ითვლება, რომელთა დიდი უმრავლესობა მუშა—ხელოსანთა წრეს შეადგენს. ესენი უფრო ქალაქის განაპირა ადგილებში სცხოვრობენ და ყოველივე სიკეთეს მოკლებულნი არიან. მე აქ არ შევეხები ქალაქის მხრივ ზრუნვას, ან თელავის ვითომ და მამებს. ქალაქის ხარჯის ამკრეფს ამ წრეში უფრო ხშირადა ვხედავთ, ვიდრე შეძლებულ მოქალაქეებთან, მაგრამ ეს დღევანდელ წერილს არ შეეხება.

იყო დრო და არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, როცა ჩვენი ინტელიგენცია ასე თუ ისე არ ივიწყებდა მდაბიო მოქალაქეთ და დრო გამოშვებით აწვდიდა მათ სულიერ საზრდოს. მე იმ დროზე მოგახსენებთ, როცა საკვირაო სკოლა არსებობდა, სადაც 200 მეტი ბაზრის ხონჭარ-ქარგალს გათვითცნობიერების კარი ეღებოდათ. სწორედ ამავე ხანებში მოწყობილი იყო იაფ-ფასიანი წარმოდგენები და საღამოს გარდა დღესასწაულებში დილითაც კი უმართავდნენ ხოლმე, რომ უფრო მეტ რიცხვს მისცემოდა წარმოდგენაზე დასწრობის საშუალება.

ყველა ეს ეხლა მოგონებად-ღა დარჩა, მუშა ხალხის ერთად ერთ თავის გართობას ისევ ღვინო შეადგენს, რომლითაც დროს ატარებს, როგორც საქმის დღეს, როცა დღიურ ანაღებს საღამოთი სამიკიტნოებში სტოვებს და ცოლ-შვილში ცარიელი ბრუნდება, ისე კვირა-უქმეებში. მოზარდი თაობაც მათ კვალზე იზრდება და უმეცრების მორევში იფლობა.

ამნაირად რაც წინედ იყო, ისიც აღარაა და ამ მხრივ თელავი წინსვლის მაგივრად უკუღმა მიდის. მაგრამ ეხლა სახალხოს ვინა ჩივის, ისე წარმოდგენებიც აღარ იმართება. ზაფხულს აქეთ არც ერთი პიესა არ დადგმულა და თელავის მცხოვრებთაც ძალა-უნებურად ერთად-ერთ თავის გასართობად „პროჟექტორებში“ უხდებათ თავის კანტური.

ძველი სცენის მოყვარე ბ-ნ აჯიმამუდოვი ამ ბოლო დროს დასნეულდა და ლოგინად ჩავარდა. ბ-ნი აჯიმამუდოვი ყოველთვის მხურვალე მონაწილეობას იღებდა გასართობ საღამოებში და არც ერთი საქველ-მოქმედო წარმოდგენა არ გაიმართებოდა, რომ მას უმთავრესი მონაწილეობა არ მიეღო. კარგი იქნება ჩვენმა სცენის მოყვარეებმა მოიგონონ და ერთი წარმოდგენა გაუმართონ, რომელსაც ისე ნივთიერად არა, როგორც მორალურად ექნება მისთვის მნიშვნელობა.

დაგვიწყებული.

# ამბოხება ეპირში

(დეპეშ. პეტერ. სააგენტო)

18 თებერვალი.

**ათინა.** კორიცის გუბერნატორი დეპეშით იტყობინება, რომ კორიცის მართვა-გამგეობა ალბანეთს გადასცა.

**ათინა.** ოფიციალურად იტყობინებიან, რომ კალონიისა და კორიცის ოლქებში წესიერება ჰსუფევს, დელვინოსა და არგირო-კასტროში დიდი მღელვარებაა. საბერძნეთის მთავრობა აღმთქმისამებრ ეცდება ეპირში სარევოლიუციო მოძრაობის ხელის შეშლას, მაგრამ სისხლის დაღვრას კი მოერიდება.

**სანტი-კვარანტა.** ამბოხებამ იფეთქა, ავტონომია გამოაცხადეს. რევოლიუციონერებმა ავტონომიურ ეპირის დროშა ააფრიალეს. მთავრობამ მიატოვა ქალაქი, რომელიც რევოლიუციონერებმა ხელთ იგდეს. საბერძნეთის გუბერნატორი იტყობინება, რომ მას არ ძალუძს ამბოხების ჩაქრობა. სანტი-კვარანტაში 1.200 რევოლიუციონერი იმყოფება. ამბოხებამ იფეთქა დელვინოში, სადაც 1,500 შეიარაღებული მეამბოხეა. 2.000 რევოლიუციონერმა ქალაქს ალყა შემოარტყა. საბერძნეთის მეციხოვნე ჯარი ამ რაიონში უმნიშვნელოა. გენერალ პოპულარმა კორიცის მცხოვრებთ გამოუცხადა, რომ ისინი მეფის სურვილისამებრ ალბანეთის მთავრობის ხელში გადადიანო. პოპულარი არწმუნებს მცხოვრებთ, რომ მათ კეთილდღეობას საფრთხე არ მოელის. მიუხედავად ამისა რამდენიმე მცხოვრები სალონიკისკენ გაემართა საცხოვრებლად. ბევრს განუზრახავს ამერიკაში გადასახლება.

# სოფლის ამბები

**ს. საგარეჯო.** სოფ. საგარეჯოში ამ ბოლო ხანს გამრავლდნენ ქურდები და შანტაჟისტები. სასოწარკვეთილი და ილაჯ-გაწყვეტილი გლეხი, თუ გაბედავს და ხმას ამოიღებს, სიკვდილი ელის. თუ სიკვდილს გადარჩა, სახლ-კარის დაწვას არ ასცდება და თუ ამასაც გადარჩა, მასაზრდოებელ საქონელზე მაინც ხელს აღებინებენ. თუ მსხვილ-ფეხ საქონელს ვერ წამოასწრეს, შინაური ფრინველი ხომ იმათია და იმათი. ჯერ იყო და ვანო მღებრიშვილის სახლი დაიწვა, პატრონმა ვერა გადაარჩინა-რა. დაიწვა: მთელი ზამთრის სარჩო-საბადებელი. მერე დასწვეს ესაიაშვილის ოც ურმიანი თივა და სახლი კი ვერ მოასწრეს. გაძარცვეს ხელოსანი-კალატოზი გულისაშვილის სიძე, წაართვეს თხუთმეტი თუმანი და რაც კი ხელს გაჰყვებოდა ღირებული ნივთები. ქორწილებში რამოდენიმე ოჯახი სტუმრით წასული აღმოჩნდა, ისარგებლეს ნაძირალებმა და სამი თუ ოთხი ოჯახი ისე დაანიავეს, რომ პატრონს ცარიელი კედელი-ღა დახვდა.

დადგა თუ არა შემოდგომა, ჩვენმა მამასახლისმა ქაიხოსროშვილმა შეაბმევინა სამი ურემი, მოჰყვა სოფლის თავიდან და სოფლის ბოლომდინ, ვისაც კი მოეპოვებოდათ ზაფხულის ნაშრომ-ნაოფლარი, ადგილობრივ ჩარჩების საფენიეროდ, სულ შუა

ბაზარზე მოაგროვა. დაუსია ადგილობრივი ჩარჩ-ბაცაცები ნარბევს, და ჩალის ფასად, თითქმის მუქთად ჩაუგდო ჩარჩებს ხელში. ეს იყო „სახელმწიფო ფულის" მოგროვება!.. იყო ისეთი შემთხვევა, რომ თუ ვინიცობაა, დარბეულ ავეჯში რამე მოეწონებოდა მამასახლისს და პატრონი ფულს მიუტანდა დასახსნელად, აღარ აძლევდა,—დაიკარგაო, და „დაკარგული" კი მამასახლისის სახლში დღესაც არის! იყო შემთხვევა, რომ თავზე ხელაღებული მოხელე ერთხელ დარბეული, და თავისგანვე დაცარიელებულ სახლში შევარდა, და რომ აღარა მოეპოვებოდათ-რა გამოსატანი, ლანძღვითა და გინებით მელოგინე ქალი ტახტზე გადმოაგორეს, ცარიელ ფიცარზედ და იმისი ფარდაგი, ნალი, საბანი, ბალიშები, ურმეზე დაუდეს.

დროებით გადმოიყვანეს ბოქაულად ბ. ზუკაკიშვილი. ამან მაშინვე დაინახა სოფლის გაჭირვება, დააპატიმრა მამასახლისი და მისი ორი თანაშემწე, ამ ვაჟბატონებს არა ერთი და ორი შავბნელი საქმე დაუმტკიცდებათ თუ ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ, დანიშნავენ გამოძიებას და შეეკითხებიან თვით სოფელს.

საჭიროა ამ გამოძიებას თვითონ ხალხი დაეხმაროს, დაეხმაროს ადგილობრივი ინტელიგენციაც.

**გ. ს—ლი.**

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**18 თებერვალი.**

**უცხოეთი.**

**ლვოვი.** უკრაინელებსა და პოლონელებს შორის დიდი უთანხმოება იყო ატეხილი ახლად დასაარსებულ პოლონურ და უკრაინულ გიმნაზიების რაოდენობაზე. უთანხმოებას მწვავე ხასიათი ჰქონდა; მოელოდნენ სეიმის დაკეტვას ხარჯთ-აღრიცხვის განუხილველად, რადგანაც უკრაინელები ობსტრუქციით იმუქრებოდნენ. ხანგრძლივ მოლაპარაკების შემდეგ პოლონელები და უკრაინელები შეთანხმდნენ. დაიწყო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, რამაც მკაცრი შეტაკება გამოიწვია მინისტრად ნამყოფ დლუშგოსა და დეპუტატ სტაპინსკის შორის.

**ლონდონი.** იოანე მახარობლის ეკლესიაში საღამოს ლოცვის შემდეგ აფეთქდა ყუმბარა. ყუმბარამ დააზიანა სამლოცველო ადგილი და ფანჯრები. ჰფიქრობენ ყუმბარა სუფრაჟისტ ქალების შემოგდებული იყოო.

**სოფია.** სალონიკის მთავრობამ ციხიდან გაანთავისუფლა 47 ბულგარელი, მათ შორის მღვდელიც. ამბობენ, ჯერ კიდევ ბევრი ბულგარელია დაპატიმრებულიო.

**ცეტინიე.** დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლების კრება მოხდა ჩერნოგორიისთვის საერთაშორისო სესხის მიცემის თაობაზე.

**ბუდაპეშტი.** ჰუნგრეთის ფრიად გავრცელებული უპარტიო გაზეთი „პესტიგირლაპი" ჰგმობს იმ მიმართულებას, რომელიც დებრიჩინის უბედურების საქმის გამოძიებას თავს ახვევს ამ საქმეში რუსების დანაშაულობას. დემოკრატიული გაზეთი „პესტი-ნაპლო" გრაფ ტისას უსაყვედურებს, რომ იგი გამოძიებას ყალბ მიმართულებას აძლევს; ტისას ჰსურს რუმინელთა კომიტეტთან კეთილი განწყობილება იქონიოს და სცდილობს, დებრიჩის ამბავი რუსეთის საქმედ მოაჩვენოს; მარმაროშ-სიგეტის პროცესი არ იარსებებდა, რომ რუსეთთან ავსტრია-ჰუნგრეთს კეთილი განწყობილება ჰქონდესო. ნახევრად ოფიციოზი „ბუდაპესტიგირლაპი" ამტკიცებს, რომ დებრიჩინის კატასტროფას მიზნად ჰქონდა მარმაროშ-სიგეტის პროცესის მსაჯულნი დაეშინებინა, გაემხნევებინა ბრალდებულნი და რუმინელები მოეგლიჯა სამთა კავშირისათვის.

**სტამბოლი.** დიდის ამბით დაასაფლავეს საიდ-ფაშა, რომელიც ძველი წეს-წყობილების დროს შვიდჯერ იყო დიდ ვეზირად და ახალი რეჟიმის დროს ორჯერ.

**ლვოვი.** ხარჯთ-აღრიცხვის თაობაზე კამათის დროს სამეცნიერო აკადემიის თავმჯდომარემ ტარნოვსკიმ პოლონელთა ჯგუფის სახელით დაჰგმო უკრაინელები აღმოსავლეთ პრუსიის განაპირა კავშირთან ურთიერთობისათვის და უკრაინელების საქციელს სიმდაბლე უწოდა. უკრაინელთა კლუბის სახელით ლევიტსკიმ უპასუხა და აღნიშნა, რომ უკრაინელებს ამ კავშირთან მხოლოდ ეკონომიურ ხასიათის ურთიერთობა ჰქონდაო.

**ვალენსია.** საქალაქო ახალ გადასახადთა შემოღების გამო გამოწვეული გაფიცვა დასრულდა. ქალაქს თვითმართველობა და მცხოვრებნი შესთანხმდნენ.

**რუსეთი.**

**მიტავა.** გაქცეულ კატორღელებს დაედევნენ საეროზო დარაჯები. სროლის დროს ყველა გაქცეული ტუსაღი დაიხოცა.

**კიევი.** სახელმწიფო საბჭოს წევრის დენისოვის თავმჯდომარეობით დაიწყო საოლქო კრება ექსპორტის საკითხის თაობაზე. კრებამ უქვეშევრდომილესი დეპეშა გაგზავნა, რითაც მადლობას უცხადებს მეფეს სახალხო კრედიტის აღთქმულ რეფორმების გამო.

„კიევლიანინი"-ს რედაქტორმა შულგინმა საოლქო სასამართლოს განაჩენზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ სათათბიროში წარსადგენად მოიწონა სამრევლო სკოლების საეპარქიო მეთვალყურეთა ჯამაგირის მომატების კანონ-პროექტი.

მინისტრთა საბჭომ მოიწონა სახალხო განათლების სამინისტროს წინადადება ხაზინის მიერ სტასიულევიჩის არქივის შეძენის თაობაზე.

**პეტერბურგი.** სახალხო განათლების კომისიამ საოსტატო სემინარიების შტატთა შეცვლის პროექტის განხილვის დროს სასურველადა სცნო სემინარიებში საგნების სწავლება დაუახლოვდეს საშუალო სასწავლებლებს; ენების ნაცვლად შემოღებული იყოს სპეციალურად საპედაგოგიო საგნები; აუცილებლად ისწავლებოდეს კანონთმდებლობა.

კატორღის რეფორმათა კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტის ოთხი განყოფილება.

# პასუხი

**მუშა ვასილ გაფრინდაშვილს ჭიათურაში.**

გაზ. „სიმართლის ხმის" 34 ნომერში წავიკითხე თქვენი ღია წერილი ჩემს მიმართ და ვიჩქარი გიპასუხოთ.

პირველ ყოვლისა, ბოდიშს ვიხდი, რადგან ვერ ვასრულებ თქვენს თხოვნას, რომ პასუხი იმავე გაზეთის საშუალებით მომეცა. მე შეუძლებლად მიაჩნია თხოვნით მივმართო „სიმართლის ხმის" რედაქციას, რომ ჩემი პასუხი თქვენდამი თავის გაზეთში მოათავსოს, რადგან ყოველგვარი დამოკიდებულება ამ რედაქციასთან, რომელიც ცილის მწამებელთა და პოლიტიკურ მაბეზღართა ბუნაგად გადაქცეულა, ჩემთვის მეტად საძნელო და სათაკილოა.

როგორც თქვენ თვითონ ბრძანებთ, მეჩხერის ჩამოსაშვებისათვის საურმე გზის გაკეთება მივეცი ნარდათ ილიკო წერეთელს, რომელიც ვალდებული იყო გზისთვის საჭირო ქვა მოეტანა და დაემტვრია. მაშასადამე, მე საქმე მქონდა წერეთელთან და ანგარიშიც იმას გავუსწორე. ხოლო ვისგან ყიდულობდა იგი ქვას, ან ვის ამუშავებდა და რა პირობებში, არ ვიცი და არც იყო ჩემი საქმე. აქედან აშკარაა, რომ თუ თქვენ წერეთელს გაურიგდით და იკისრეთ ქვის მოგროვება, საქმეც მასთან გქონდათ და არა ჩემთან. სიმართლეს მოკლებულია თქვენი განცხადება, თითქო მე გაგრიგებოდით ქვის დადგმას და პირობაც მომეცეს. ეს შეუძლებელიც იყო, რადგან წერეთელს ქვა გზაზე მოტანილი უნდა ჩაებარებია და რაც მოიტანა, იმისი ანგარიშიც მიიღო. ამ გარემოებას ისიც ადასტურებს, რომ ამ ორნახევარი წლის განმავლობაში არც ერთს თქვენგანს იმისი მსგავსი, რასაც თქვენ ამბობთ, არა გაუცხადებიარა, ეჭვს გარეშეა, პირობა რომ მქონოდა მოცემული და მე ვყოფილიყავი ამ საქმეში თქვენთან ვალდებული, მაშინ არც გაჩუმდებოდით და ხელდ. ფულს თავის დროზე მოსთხოვდით კანტორას. დღემდის ამაზე თქვენ კრინტიც არ დაგიძრავთ. რატომ?—იმიტომ რომ არა გქონდათ არავითარი უფლება ჩვენგან რაიმე მოგეთხოვათ. და თუ ჩვენს შორის არავითარი დამოკიდებულება და საქმე არა ყოფილა, როგორ შემეძლო მომეტყუებიეთ და ბოროტად გამომეყენებია თქვენი შრომა?! ერთი სიტყვით, ეს საქმე მე არ შემეხება, მე აქ არაფერ შუაში ვარ და არც გიცნობთ თქვენ პირადად.

და თუ თქვენ მაინც გამოხვედით ცილის მწამებლის როლში და 2½ წლის შემდეგ ამბობთ იმას, რაზედაც ჩემთვის აქამდის არა გითქვამთ რა, ამის მიზეზი სულ სხვაა.

ეს ერთი ხანია გაზ. „სიმართლის ხმამ" ნიშანში ამომიღო და ჩემს წინაამდეგ პოლიტიკურ მობეზღრობასაც კი ეწევა. ამ გაზეთის სულის ჩამდგმელნი—ჩვენი დასელები—მოუსვენრად დაძრწიან და ჩხრეკენ ყველგან ყველაფერს, რომ რაიმე საანკესო მოიგდონ ხელში და ნიშანში ამოღებული ადამიანის წინააღმდეგ განგაში ასტეხონ, ტალახი ესროლონ მას, ცილი დასწამონ და, თუ საქმე გასჭირდა, დააბეზღონ კიდეც.

აი ვისი ხელით არის დაწერილი თქვენი ღია წერილი, აი ვისი ბრმა იარაღი ხართ, ბ. გაფრინდაშვილო! ეტყობა ბევრი უძებნიათ, ბევრი ოფლი დაუღვრიათ დასელებს, რომ ჩემს წინააღმდეგ რაიმე საკბილო გამოეჩხრიკათ და რომ ვერას გამხდარან, თქვენ გამოგიყვანეს ჩემ საწინააღმდეგოდ და ცილისმწამებლად. ძლიერ მიხარის, რომ ამის მეტი „დანაშაული" არა მიმიძღვის რა. ამიტომ თქვენს ასეთ უადგილო და ყოვლად უსაბუთო გამოლაშქრებას მე შეურაცხყოფად ვერ მივიღებ, რადგან არა უწყით, თუ რასა იქმთ!.. მაგრამ თუ ის დასი ან ორგანო, რომელიც მაბეზღრობის და ცილისწამების გზას დასდგომია იმათ წინააღმდეგ, ვინც მათი აზრისა არ არის, გულის სიღრმემდი საზიზღარი და საზარელია, მაშინ თქვენ და თქვენისთანები საცოდავნი და შესაბრალისნი ხართ. თქვენში მომკვდარა ადამიანის ღვთიური ხატება, რადგან შესაძლებლად მიგაჩნიათ ცილი დასწამოთ, სრულიად უადგილოდ და უსაბუთოდ შეურაცხყოთ ადამიანის პიროვნება. რა დიდი ბოროტების ჩამდენი არიან ისინი, რომელთაც თქვენ და ძალიან ბევრი თქვენისთანები ამ ყოფამდის მიიყვანეს, ჩვენს დროში დასთესეს აუარებელი ღვარძლი და შუღლი და მით ადამიანთა შორის პატივისცემის, სიყვარულის და სათნოების დამყარებას ძირი გამოუთხარეს.

პატივისცემით

**ისიდორე ვარაზაშვილი.**

# წერილი რედ. მიმართ

უგულითადეს მადლობას ვუძღვნი ექიმებს ბ. მახვილაძეს, გრიგოლიას და ჩიკვარიძეს, რომელნიც გულმხურვალე თანაგრძნობას იჩენენ ჩემ მიმართ და სრულებით უსასყიდლოდ მწამლობენ.

**ი. ევდოშვილი.**

სოხუმი, 15 თებერვალი.

მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ქომრიგებელ-შუამავალს თავ. ივანე გიორგის ძე ჯორჯაძეს, რომელმაც გურჯაანის სამინისტრო სკოლის მოწაფეთათვის 6 იანვარს გამართულ შობის ხის სასარგებლოთ შემოსწირა 11 მანეთის ტკბილეულობა. მადლობას ვუძღვნი აგრეთვე გ. პ. სარაჯიშვილს, ქ-ნ ე. ზ. ბაქრაძისას, რომელთაც დახმარება გაგვიწიეს შობის ხის მოსართავების უსასყიდლოდ დათმობით და დ. ი. ოდიშელიძეს, რომელმაც 1 მან. დახმარება გაგვიწია.

გურჯაანის სამინისტრო სკოლის მასწავლებელი **ელისაბედ გ. ხაჩიძისა.**

მივიღეთ თქვენი რედაქციის მიერ გამოგზავნილი 29 მან. 50 კაპ., რომელიც სად. ქვლახში ბ-ნ თოიძეს შეუკრებია წ.-კ. გ. საზ. თელავის განყოფილების სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ. უღრმეს მადლობას ვუცხადებთ ბ-ნ თოიძეს და ყველა შემომწირველთ.

წ. კ. ს. თელავის განყოფილების ხაზინადარი **გ. პაპაშვილი.**

1913 წლის ბოლოს ქვემო-ხვითის სამრევლო სკოლასთან დავაარსეთ სახელოსნო, სადაც სკოლაში სწავლა დამთავრებულნი შეგირდები სწავლობენ ქრა-კერვას და სხვადასხვა ხელსაქმეს, კალათების წვნას და ლერწმის ღგამის კეთებას. ამ სახელოსნოს შეგირდები და აგრეთვე მათი გულშემატკივარნი ხვითის საზოგადოება დიდი მადლობელნი არიან ადგილობრივ მცხოვრებ კნეინა ინაიინა ვასილის ასულის დიასამიძისა, რომელმაც იკისრა და მუქთად ასწავლის ქრა-კერვას და სხვა ხელ-საქმეს, აგრეთვე ადგილობრივ სკოლის მასწავლებელს ნატალია უნაფქოშვილს, რომელმაც თავის ხარჯით შეისწავლა ქ. ტფილისში კალათების და დგამის კეთება და ესეც მხარში ამოუდგა კნ. დიასამიძისას და უსასყიდლოდ ემსახურება ამ კეთილ საქმეს, რაც უეჭველია თვალსაჩინო ნაყოფს მოიტანს. რადგან სიღარიბის გამო სახელოსნოს შენახვას ადგილობრივი მცხოვრებნი მარტოთ ვერ გაუძლვებოდნენ, ამ სასარგებლო საქმის წინსვლის გულშემატკივარნი დაგვეხმარნენ, კეთილ ინებეს და შემოსწირეს ფული, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუძღვნით. ვიმედოვნებთ მათ მაგალითს წაჰბაძვენ ამ საზოგადოების გულშემატკივარნი და საშუალებას მოგვცემენ სახელოსნოს საქმე წინ წავწიოთ, რითაც დავანახვებთ ჩვენ გლეხ-კაცობას (რომელიც ეჭვის თვალით უცქერის უბრალო წერა-კითხვის სკოლას), რომ ამისთანა სკოლასაც შეუძლიან ნამდვილი სარგებლობის მოტანა და უფრო ხალისიანად ატარებენ თავიანთ ბავშვებს სკოლაში.

ამ სკოლას შემოსწირეს: დარია დიმიტრის ასულმა გძელიშვილისამ 25 მ., ოლღა საჩინოს ასულმა გაბაშვილისამ 10 მ., კნეინა ელენე იასონის ასულმა აბხაზისამ 5 მ., კნეინა ანა მიხეილის ასულმა დიასამიძისამ 2 მან., ელიზბარ ვასილის ძე კარბელაშვილმა 2 მ., კნეინა მარიამ ქაიხოსროს ასულმა ამირაჯიბისამ 1 მან., კონსტანტინე ნიკოლოზის ძე იშხნელმა 1 მ., თ-მა დიმიტრი ნიკოლოზის ძე დიასამიძემ 1 მ., კნეინა თამარ გიორგის ასულმა ვაჩნაძისამ 1 მ., კნეინა ეკატერინე ზაალის ასულმა ამილახვრისამ 2 მ. 50 კ. ამ ფულით „ნაკადული" გამოუწერეთ სკოლას.

**ნინო მაჭავარიანისა.**

# შემოწირულება

**ილიასეულ სახლის გამოსასყიდად** მარიამ ვახტანგის ასულ და ალექსანდრე ივანეს ძე ჯამბაკურ-ორბელიანებისაგან . . 100 მან.,

| | |
|---|---|
| შუქურთის კრედიტის ამხანაგობისაგან . . | 9 მ. 35 კ., |
| ა. მ. კეჭეყმაძისაგან . . | 19 მ. 45 კ. |
| სულ | 128 მ. 80 კ. |

**არჩილ ჯორჯაძის ძეგლის ასაგებად** რედაქციამ მიიღო სოლომონ იასონის ძე ახვლედიანისაგან 5 მან. 50 კაპ.

**ტფ. ქართულ გიმნაზიასთან** არსებულ უფასო სასადილოს საზოგადოების გამგეობა უღრმეს მადლობასა სწირავს ქართველთა გამომცემელი ამხანაგობას და ა. გ. ჯაბადარს, რომელთაც წლიური ანგარიშების დაბეჭდვის სახით საზოგადოებას შესწირეს 54 მანეთი.

ამავე სასადილოს სასარგებლოდ შემოსწირეს: თ-დ მ. ა. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ 1 ბატკანი, ქ-ნ ე. ი. ელიზიშვილისამ 1 კრავი, 2 ფუთი პური და 12 ბოთლი ღვინო.

შემომწირველთ უღრმეს მადლობას უძღვნის **გამგეობა.**

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**


## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1—2 მ. **ფომინა-ოხამოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვა** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6ა. მ. **ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10, ტელ. 645).
7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).
9—11 **გ. თ. ნათაძე**... (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).
10—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილი. პროსპ. 174 ტელ. 327.)
სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის საგუშაგო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიკის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და ვაკის მოედანზე.

## ს. ა. ბრიაზნოვი

სხვა მასწავლებლებთან ერთად

**ამზადებს**

გიმნაზიის, რეალურ და კომერციულ სასწავლებლის დაბალ, საშუალო და მაღალ კლასებისათვის, სამხედრო და მიწის-მზომლის სასწ. პირველ კლასისთვის და სხვა და სხვა მოწმობებზე. უკვე შემდგარია ჯგუფი გიმნაზიის მე-6 და მე-7 კლასისთვის და კომერც. მე-6 კლას. მარიამობისთვის გეზამენისათვის. იყვანს სრულ პანსიონზედაც. **ვერა**, იზმაილოვის შესახვ., ბელინსკ. ქუჩიდან № 3, მესამე სართული. 43

## მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** სად. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 1 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **საზ.** დილ. 8 ს. 2 წ № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. წ.

**ყარსისკენ:** **საზ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** , 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სად. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** სად. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** სად. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

**ჯულფიდან** № 4/3 საფოსტო 7 საათსა და წუთის სადამოთი.

**ერევნიდან** № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.
ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## იყიდება

ვერაზე, სომხების სასაფლაოს ახლოს, 112 ოთხკუთხი საჟენი **მიწა** ორი ქვითკირის ოთახით და სამზარეულოთი.

პირობების გაგება შეიძლება ამ მისამართით: ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 6. მკერავ ივ. სვანიძესთ.ნ. 112

## სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

**გადავიდა** საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დილით:**

**„606" და „914"**

**11—12 ს. შეზხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. ბეგახარელი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
**ზ. თ. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**გ. გ. ზენიამინოვი:** 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
**მ. გ. ბეყტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი ავადმყოფ. და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ბეყტისიანცი:** 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1004 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

**ჩვენი მწერლობა**

| | |
|---|---|
| სუმბათაშვ. ღალატი, ტ. 1906. | 1—25 კ. |
| ტარუაშვილი. თხები და ცხვრები, იგავი, ტ. 1913. | 15 „ |
| „ მამა-შვილი, ანუ გაუბედურებულნი, დრ. 3 მ. ტ. 1908. | 15 „ |
| „ მტარვლის ბედი, დრ. 1 მოქ. ტ. 1910. | 10 „ |
| ფურცელაძე ან. ასული ისრაილისა, ტ. 1900. | 30 „ |
| მაცი ხვიტია, ტ. 1911, მისივე, | 50 „ |
| ქიტესა ტ. 1890. | 15 „ |
| ბრძოლა საქ. მოსპ. და საქარ. შესაერთებლად, ტ. 1912. | 1 მ. |
| ფრონელი ა. მთიულეთი, 1804, ტფ. 1806 წ. | 40 „ |
| ამბოხ. კახეთ. (1812), ისტ. ამბები, ტ. 1907, | 60 „ |
| მთის არწივი შამილი, ისტორ. ამბავი, ტ. 1914. მისივე, | 25 „ |
| ქილილა და დამანა, ტ. 1886. | 1— „ |
| ქვარიანი ს. სუმბული, ლექსები. ყვ. 1901. | 25 „ |
| ვიზიტი (ეტიუდები), 1903. | 10 „ |
| ქებათა-ქება და სულემატ. ტ. 1909. | 10 „ |
| ყაზბეგი ალ. თხზ. ტ. 1905. | 3—50 „ |
| ელისო, ქუთ. 1909. | 10 „ |
| ყარამანიანი. 16 კარ. თითო კარი | 40 „ |
| ყიფიანი ვ., სამეგრ. მთავ. ლევანი, ისტ. დრამა 5 მოქ. | 40 „ |
| ყიფიანი სვ. წერ: მოთხრ. 1911. | 60 „ |
| შიუკაშვ. გამხმარი ფოთ. 1911. | 20 „ |
| „ მეგობრ. დრ. 4მ. ტ. 1911. | 30 „ |

**მიღებულია ახალი წიგნები:**

| | |
|---|---|
| თაყაიშვ. ე. საისტ. მასალ. 1913. | 25 „ |
| ხუნდაძე ს. ქართ. ლიტერ სახელმძღვანელო, ქუთ. 1914. | 15 „ |
| ევდოშვ. საყმაწ. მოთხრ. 1914. | 10 „ |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. гр. нас.

## სანერგე ამერიკულ ვაზისა „კლდე-ეშერული" ქუთაისში

მუდამ რჩევას იძლევა ამა თუ იმ ნიადაგის შესაფერ ნერგის არჩევაში და მევენახეებს აფრთხილებს, რათა არ იხმარონ ნერგი **რეპესტრისი**, რომელიც ცუდად ხეირობს, მდარე ღვინოს იძლევა და ყველა სხვა დასამყნობ ნერგებზე უფრო მეტად სნეულდება სოკოს ავადმყოფობით.

**მუდამ გვეშოვება გასასყიდად**

წოლიკაური, კრახუნა, ციცკა, მწვანე, რქა-წითელი, საფერავი, ოცხანური და მრავალი სხვა ადგილობრივი და ევროპიული ჯიშის ნერგი (აგრეთვე პირდაპირი მომშენებელი გიბრიდი) სხვა და სხვა ნიადაგისათვის შესაფერ ძირზე ნამყნობი. სხვა და სხვა ჯიშის ვაზი ნერგი 100 ცალი 65 მან. ღირს. პრეისკურანტი უფასოდ იგზავნება. 113

## უფლებიანი სავაჭრო სკოლა უფლებიანი და საბუღალტრო კურსები

**ივანე ზაქარიას ძე ტერ-სტეფანოვისა**

გადავიდა ახალსა და უფრო ფართო შესაფერ ბინაზე, **მიხეილის ქუჩა, სახლი ქავთარაძისა № 36.**

კურსებზე პირველ ჯგუფთან მეცადინეობა სწარმოებს ნაშუადღევის 3 საათიდან, მეორე ჯგუფთან—საღამოს 7 საათიდან. გამოცემული სახელმძღვანელოები **მიწერ-მოწერით ბუღალტერიის შესასწავლად.** 83

## თევზის მრეწველნი ძმ. მეგველოვები.

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.**

**ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში.**

## იყიდება იმავე ხარისხის საქონელი,

**როგორც პუშკინის ქუჩაზე.**